06/10/2025

MES 3 25 0001281649

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 24 სექტემბერს 12: 00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: September 24, 2025 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87462621026?pwd=nQbb2b6szJb5QkgTaxaowifl4ymzSU.1
Meeting ID: 874 6262 1026
Passcode: 778298

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათიაგვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი
მარიამ მაისურაძე - დირექტორი
დეა ჩიხლაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ლა კლინიკი
თამარ კერძაია - დირექტორი

შპს ბრაით ლაინი
გულიკო ქათამაძე - დირექტორი
მზია ბაკურიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ალექსანდრე ტაკიძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი, სოც-მედია მენეჯერი
თამილა თელია - „ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი

შპს კიბერ აკადემია
დემიდ ფასიეშვილი - დირექტორი
ზურაბ მესხიძე - თანადამფუძნებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ნინო ბოკუჩავა
ნინო ნიშნიანიძე
ლელა ლეჟავა
ხათუნა ფარეიშვილი
ალექსანდრე კეკენაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია“ /02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ლა კლინიკის „ბიუთი ლუქი - ვიზაჟის და სტილის ხელოვნება“ /02199/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ლა კლინიკის „კანის მოვლის თერაპია - ესთეტიკური სილამაზე“ /02200/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ლა კლინიკის „ლაზერული ეპილაცია“ /02201/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

7. შპს ბრაით ლაინის „ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ /02314/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს №1037920 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტის ნინო ბოკუჩავას და ცენტრის წარმომადგენელის მაია აბდალაძის მიერ, 2025 წლის 5 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტში, მისამართზე, ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა, სადაც დაწესებულება გეგმავს პროგრამის განხორციელებას და გამოყოფილია შესაბამისი გარემო, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო პრაქტიკული სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,მაკიაჟის შესრულება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ორი ხარვეზი 1.5 და 1.6 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დონე ვერ დგინდება და შეუსაბამოა წესთან. დონე სწავლის შედეგებთან კავშირშია და სწავლის შედეგების გასწორების შემდეგ შეიძლება დადგინდეს პროგრამის სწორი დონე.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

რეკომენდებულია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში ბლუმის ტაქსონომიის ზმნების გამოყენებით, წარმოდგენილი ფორმულირებები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს

ცოდნისა და გაცნობიერების სიღრმისეულობა, უნარების კომპლექსურობა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი. მიზანშეწონილია შედეგები გასწორდეს ზემოაღნიშნული მითითებების შესაბამისად და სწავლის შედეგები დაინომროს.
ასევე გაიცა რეკომენდაცია 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ
ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე
რადგან რეალურად ქართულ ენაზე არ არსებობს შესაბამის დარგში ლიტერატურა და მითითებულია ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რეკომენდებულია სწავლების დაწყებამდე მოამზადონ
შესაბამისი თემატიკის შესახებ ქართულ ენაზე მოკლე პრეზენტაციები/ჰენდაუთები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ „მაკიაჟის შესრულების“ პროფესიული მომზადების პროგრამა სრულად პასუხობს შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს. პროგრამის გავლის შედეგად მსმენელები იღებენ პრაქტიკულ უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია როგორც კერძო სექტორში დასაქმებისთვის, ასევე დამოუკიდებელი საქმიანობისთვის.
ამიტომ, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის. შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევების მიხედვით, მაკიაჟის შესრულების სფეროში არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამა. კვლევამ დაადასტურა, რომ შესაბამისი სპეციალობის მქონე კადრები განსაკუთრებით მოთხოვნადია სილამაზის სალონებსა და ესთეტიკურ კლინიკებში. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ეს სფერო მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას, მაღალპროფესიულ უნარებსა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების უნარს, დამსაქმებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კვალიფიციურ კადრებს, რომელთა ცოდნა და უნარი შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტსა და უსაფრთხოების წესებთან. არსებული რეალობით, ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სისტემური მექანიზმი, რომელიც ოფიციალურად დაადასტურებს ვიზაჟისტების კომპეტენციებს და პროფესიულ სტატუსს - მხოლოდ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხშირად არ არის საკმარისი დასაქმებისას. ამიტომ, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განვითარება და განხორციელება მნიშვნელოვანი წინაპირობაა, დარგში უნარების ოფიციალური დადასტურებისა და შესაბამისად, დასაქმების ეფექტიანობის გაზრდისთვის, რაც ასევე უწყობს ხელს თვითდასაქმების პერსპექტივების გაძლიერებას.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების

მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, კერძოდ ესთეტიკის ცენტრი გლოუ, შემდგომში წოდებული ,,შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი“ 2022 წლიდან ფუნქციონირებს ქ. ქუთაისში და მომხმარებლებს სთავაზობს გამორჩეულ, პრემიუმ სერვისებს ქ. ქუთაისში და მომხმარებლებს სთავაზობს გამორჩეულ პრემიუმ სერვისებს თავის მოვლისა და ესთეტიკის მიმართულებით, სადაც ექსკლუზიურადაა წარმოდგენილი სოპრანო აის პლატინიუმის ერთადერთი ორიგინალი აპარატი, რაც ზრდის მომსახურების ხარისხს, 2023 წლიდან კი ლაზერული ეპილაციის მიმართულებით ცენტრის ატარებს პროფესიის შემსწავლელ კურსებს და ეხმარება კურსდამთავრებულებს დასაქმებაში. ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტში დასაქმებულია პროფესიონალი კადრი, როგორც მომსახურების, ასევე სწავლების განხრით. კომპანია მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს მუდმივად, უზრუნველყოფს მათ გადამზადებას სხვადასხვა, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.
შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა ცენტრში შემოიტანა სამი პროფესიული მომზადების პროგრამა, განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირელი სტანდარტის ქვესტანდარტებში გამოლინდა ხარვეზი, კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „მაკიაჟის შესრულება“ /02375/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად
ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მაკიაჟის შესრულება /02375/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ნიშნიანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის

27 აგვისტოს №1037753 ბრძანების საფუძველზე მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ნინო ნიშნიანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის 5 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ესთეტიკის
საერთაშორისო ინსტიტუტში, მისამართზე, ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა" განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ორი ხარვეზი 1.5 და 1.6 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს
პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დონე ვერ დგინდება და შეუსაბამოა წესთან. დონე სწავლის შედეგების გასწორების შემდეგ შეიძლება დადგინდეს პროგრამის სწორი დონე.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
რეკომენდებულია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში ბლუმის ტაქსონომიის ზმნების გამოყენებით, წარმოდგენილი ფორმულირებები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს ცოდნისა და გაცნობიერების სიღრმისეულობა, უნარების კომპლექსურობა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი. მიზანშეწონილია შედეგები გასწორდეს ზემოაღნიშნული მითითებების შესაბამისად და სწავლის შედეგები დაინომროს.

ასევე გაიცა რეკომენდაციები 1.3, 2.1 და 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ
ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან
პროგრამის მიზანი დასაკორექტირებელია, რადგან მსმენელები შეისწავლიან მხოლოდ დიოდურ ეპილაციას და არა როგორც პროგრამის მიზანშია აღწერილი (დიოდური, ალექსანდრიტის და ნეოდიუმი).
2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია დაწესებულებამ აიყვანოს მეორე განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით.
ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე
რადგან რეალურად ქართულ ენაზე არ არსებობს შესაბამის დარგში ლიტერატურა და მითითებულია ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რეკომენდებულია სწავლების დაწყებამდე მოამზადონ
შესაბამისი თემატიკის შესახებ ქართულ ენაზე მოკლე პრეზენტაციები/ჰენდაუთები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ესთეტიკური მედიცინის სფერო საქართველოში რეგულირდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონით, რაც ითვალისწინებს პროფესიული მომსახურების მაღალი ხარისხის საჭიროებას. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ესთეტიკურ მომსახურებებზე, მათ შორის კოსმეტოლოგიურ პროცედურებსა და ლაზერულ თერაპიაზე. საქართველოს დიდ ქალაქებსა და რეგიონებში სწრაფად იზრდება სილამაზის ცენტრებისა და

ესთეტიკური კლინიკების რაოდენობა, რაც ქმნის მოთხოვნას კვალიფიციურ კადრებზე. შრომის ბაზარზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების ნაკლებობა აღნიშნულ სფეროში პროფესიული მომზადების პროგრამის აუცილებლობას უსვამს ხაზს. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად და დასაქმების გასაზრდელად. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ეს სფერო მოითხოვს სპეციალიზებულ ცოდნას, მაღალპროფესიულ უნარებსა და თანამედროვე ტექნიკის გამოყენების უნარს, დამსაქმებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კვალიფიციურ კადრებს, რომლებიც დაიცავენ ყველა სტანდარტს და უსაფრთხოების წესებს. არსებული რეალობით, ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი სისტემური მექანიზმი, რომელიც ოფიციალურად დაადასტურებს კოსმეტოლოგებისა და ლაზეროთერაპევტების კომპეტენციებს და პროფესიულ სტატუსს - მხოლოდ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხშირად არ არის საკმარისი დასაქმებისას.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებში გამოვლინდა ხარვეზი, საკითხს კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა“ /02373/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - კლასიკური კოსმეტოლოგია - სახის კანის მოვლა /02373/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტის „სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია“ /02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ლელა ლეჟავამ. მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27

აგვისტოს №1037776 ბრძანების საფუძველზე მოწვეულმა დარგის ექსპერტმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის 4 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტში, მისამართზე, ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია" განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ორი ხარვეზი 1.5 და 1.6 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.5 - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2/მე-3/მე-4/მე-5 დონეს

პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე დონე ვერ დგინდება და შეუსაბამოა წესთან. სწავლის შედეგების გასწორების შემდეგ შეიძლება დადგინდეს პროგრამის სწორი დონე.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

რეკომენდებულია სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს აწმყო დროში ბლუმის ტაქსონომიის ზმნების გამოყენებით, წარმოდგენილი ფორმულირებები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს ცოდნისა და გაცნობიერების სიღრმისეულობა, უნარების კომპლექსურობა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი. მიზანშეწონილია შედეგები გასწორდეს ზემოაღნიშნული მითითებების შესაბამისად და სწავლის შედეგები დაინომროს.

ასევე გაიცა რეკომენდაციები 1.2, 1.3, და 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდება - ,,სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია" შეიცვალოს და დაერქვას ,,დიოდური ლაზერით ეპილაცია", რადგან არსებული სახელწოდება არის კონკრეტულ აპარატს მორგებული. დიოდური ლაზერი წარმოადგენს ლაზერული ეპილაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას და მოიცავს სხვადასხვა კონფიგურაციას (ერთსხივიანი, სამსხივიანი, ოთხსხივიანი და სხვ.).

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

პროგრამის მიზანი დასაკორექტირებელია, რადგან მსმენელები შეისწავლიან მხოლოდ დიოდურ ეპილაციას და არა როგორც პროგრამის მიზანშია აღწერილი (დიოდური, ალექსანდრიტის და ნეოდიუმი).

ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

რადგან რეალურად ქართულ ენაზე არ არსებობს შესაბამის დარგში ლიტერატურა და მითითებულია ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რეკომენდებულია სწავლების დაწყებამდე მოამზადონ
შესაბამისი თემატიკის შესახებ ქართულ ენაზე მოკლე პრეზენტაციები/ჰენდაუთები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, არაყიშვილის ქ. №16ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ესთეტიკური მედიცინის სფერო საქართველოში რეგულირდება ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონით, რაც ითვალისწინებს პროფესიული მომსახურების მაღალი ხარისხის საჭიროებას. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნა ესთეტიკურ

მომსახურებებზე, მათ შორის კოსმეტოლოგიურ პროცედურებსა და ლაზერულ თერაპიაზე. საქართველოს დიდ ქალაქებსა და რეგიონებში სწრაფად იზრდება სილამაზის ცენტრებისა და ესთეტიკური კლინიკების რაოდენობა, რაც ქმნის მოთხოვნას კვალიფიციურ კადრებზე.
შრომის ბაზარზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე კადრების ნაკლებობა აღნიშნულ სფეროში პროფესიული მომზადების პროგრამის აუცილებლობას უსვამს ხაზს. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად და დასაქმების გასაზრდელად.
პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ვიზიტის დროს მოხდა სასწავლო გარემოების დათვალიერება. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. მან დასძინა, რომ ვინაიდან პირველი სტანდარტის ქვესტანდარტებში გამოლინდა ხარვეზი, საკითხს კენჭისყრაზე დააყენებდა ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტისთვის „სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია“ 02372/ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შპს ესთეტიკის საერთაშორისო ინსტიტუტს (ს/კ: 412789647) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - სამსხივიანი ლაზერული ეპილაცია /02372/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

4. შპს ლა კლინიკის „ბიუთი ლუქი - ვიზაჟის და სტილის ხელოვნება“ /02199/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს №101159 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ნინო ბოკუჩავამ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2025 წლის პირველ სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ლა კლინიკში, მისამართზე, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. ქ. №21, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით შესაბამისი სტანდარტების შეფასება.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული მომზადების პროგრამის მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტების'' პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების და პროგრამის ადმინისტრირების სტანდარტებთან შესაბამისობა.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ
ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
არსებული ფართი (ჭავჭავაძის გამზირი №21), სადაც იგეგმება პროგრამის თეორიული სწავლების განხორციელება, არ იძლევა საშუალებას გაზარდონ მსმენელთა რაოდენობა.
პროფესიული მომზადების პროგრამა "ბიუთი ლუქი - ვიზაჟის და სტილის ხელოვნება" ხორციელდება ქ. თბილისში. მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 20. დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა განაცხადი მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ - 20 მსმენელით. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის ლა კლინიკს განსაზღვრული აქვს ილია ჭავჭავაძის გამზირი №21, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილია ორი C გარემო: ირაკლი აბაშიძის ქუჩა, № 44 და ცაგარელის ქ. №34-36.
თეორიული კომპონენტის განხორციელების შემთხვევაში, სადაც კლინიკა აპირებს სამივე პროგრამის თეორიული ნაწილის განხორციელებას, იმ სასწავლო გარემოში (ერთი ოთახი), არის აგრეთვე სამზარეულოს კუთხე და ტექნიკური რესურსებიც, მსმენელების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა - 20 მსმენელი, რაც ორ ცვლად არის შესაძლებელი მხოლოდ, რისი უფლებაც მინიჭებული აქვთ. მეტი მსმენელის დამატების შემთხვევაში, მათ კომფორტულ და უსაფრთხო განთავსებას ოთახის ფართობი და განლაგება საშუალებას არ იძლევა, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, საკმარისი მანძილი ერთმანეთთან და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, თეორიული კომპონენტის შესწავლა პროფესიული მომზადების პროგრამისთვის არ იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მსმენელთა გაზრდილი ოდენობის შემთხვევაში, რადგან არსებული ფართი არ იძლევა მსმენელთა მეტი რაოდენობის დამატების შესაძლებლობას.
რაც შეეხება 2.1, 2.3 და 2.4 ქვესტანდარტებს, მესამე სტანდარტს, დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლა კლინიკისთვის „ბიუთი ლუქი - ვიზაჟის და სტილის ხელოვნება" /02199/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ საკითხი
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვინაიდან აღნიშნული საკითხის კენჭისყრა ვერ მოხდებოდა ელექტრონულად, საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შპს ლა კლინიკს (ს/კ: 412711123) უარი ეთქვას მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ბიუთი ლუქი - ვიზაჟის და სტილის ხელოვნება /02199/.

5. შპს ლა კლინიკის „კანის მოვლის თერაპია - ესთეტიკური სილამაზე“ /02200/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნინო ნიშნიანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 22 აგვისტოს №1014154 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა ნინო ნიშნიანიძემ შეისწავლეს შპს ლა კლინიკის პროფესიული მომზადების პროგრამის „კანის მოვლა-ესთეტიკური სილამაზე“ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და 2025 წლის 5 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ლა კლინიკში, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №21.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

არსებული ფართი (ჭავჭავაძის გამზირი №21), სადაც იგეგმება პროგრამის თეორიული სწავლების განხორციელება არ იძლევა საშუალებას გაზარდონ მსმენელთა რაოდენობა.

პროგრამა ,,კანის მოვლა - ესთეტიკური სილამაზე“ ხორციელდება ქ. თბილისში. მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 32. დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა მსმენელთა ზღვრული

რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი. მათ სურთ მიიღონ დამატებით 32 მსმენელი (ჯამში ამ პროგრამაზე 64 მსმენელი). პროფესიული მომზადების პროგრამის „კანის მოვლა-ესთეტიკური სილამაზე“ განხორციელებისთვის ლა კლინიკი გამოყოფს შემდეგ მატერიალურ ტექნიკურ ბაზას: თეორიული კომპონენტი დაიგეგმება მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი №21, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილია ორი C გარემო: ირაკლი აბაშიძის ქუჩა, № 44 და ცაგარელის ქ. №34-36.
თეორიული კომპონენტის განხორციელების შემთხვევაში, სადაც კლინიკა აპირებს სამივე პროგრამის თეორიული ნაწილის განხორციელებას, იმ სასწავლო გარემოში (ერთი ოთახი), მსმენელების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა - 32 მსმენელი, ორ ცვლად არის შესაძლებელი მხოლოდ, რისი უფლებაც მინიჭებული აქვთ. მეტი მსმენელის დამატების შემთხვევაში, მათ კომფორტულ და უსაფრთხო განთავსებას ოთახის ფართობი და განლაგება საშუალებას არ იძლევა, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, საკმარისი მანძილი ერთმანეთთან და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.
რაც შეეხება 2.1, 2.3 და 2.4 ქვესტანდარტებს, მესამე სტანდარტს, დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლა კლინიკისთვის „კანის მოვლის თერაპია - ესთეტიკური სილამაზე“ /02200/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ საკითხი
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვინაიდან აღნიშნული საკითხის კენჭისყრა ვერ მოხდებოდა ელექტრონულად, საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შპს ლა კლინიკს (ს/კ: 412711123) უარი ეთქვას მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე პროფესიული მომზადების პროგრამაზე - კანის მოვლის თერაპია - ესთეტიკური სილამაზე /02200/.

6. შპს ლა კლინიკის „ლაზერული ეპილაცია“ /02201/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ლელა ლეჟავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 22 აგვისტოს №1014156 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის ექსპერტმა ლელა ლეჟავამ შეისწავლეს შპს ლა კლინიკის პროფესიული მომზადების პროგრამის „ლაზერული ეპილაცია“ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და 2025 წლის 2 სექტემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ლა კლინიკში, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №21.

ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

არსებული ფართი (ჭავჭავაძის გამზირი №21), სადაც იგეგმება პროგრამის თეორიული სწავლების განხორციელება არ იძლევა საშუალებას გაზარდონ მსმენელთა რაოდენობა.

პროგრამა “ლაზერული ეპილაცია“ ხორციელდება ქ. თბილისში. მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 32. დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი, 32 მსმენელის დამატების შესახებ (ჯამში 64 მსმენელი). თეორიული კომპონენტი განხორციელდება მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი №21, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისთვის გამოყოფილია ორი C გარემო: ირაკლი აბაშიძის ქუჩა, № 44 და ცაგარელის ქ. №34-36.

როგორც აღინიშნა, ამავე სასწავლო გარემოში განხორციელდება აღნიშნული პროგრამის თეორიული კომპონენტი, შესაბამისად როგორც წინა საკითხებზე აღინიშნა, აღნიშნული ფართი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ 32 მსმენელი დაემატოს აღნიშნულ პროგრამას.

თეორიული კომპონენტის განხორციელების შემთხვევაში, სადაც კლინიკა აპირებს სამივე პროგრამის თეორიული ნაწილის განხორციელებას, იმ სასწავლო გარემოში (ერთი ოთახი), სადაც არის აგრეთვე სამზარეულოს კუთხე და და იმავე ოთახში განლაგებულია ტექნიკური რესურსებიც, მსმენელების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა - 32 მსმენელი ორ ცვლად არის შესაძლებელი მხოლოდ, რისი უფლებაც მინიჭებული აქვთ. მეტი მსმენელის დამატების შემთხვევაში, მათ კომფორტულ და უსაფრთხო განთავსებას ოთახის ფართობი და განლაგება საშუალებას არ იძლევა, რათა თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს ინდივიდუალური სამუშაო ადგილი, საკმარისი მანძილი ერთმანეთთან და თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა.

რაც შეეხება 2.1, 2.3 და 2.4 ქვესტანდარტებს, მესამე სტანდარტს, დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა შპს ლა კლინიკის წარმომადგენელს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, საბჭოს წევრებს და დასძინა, რომ მათ დამატებული აქვთ ფართი, ვიზიტის დროს არ იყო სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, თუმცა დასკვნა უკვე არის. შესაბამისად, ხელმეორედ შემოიტანენ განაცხადს აღნიშნულ პროგრამებზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლა კლინიკისთვის „ლაზერული ეპილაცია“ /02201/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ საკითხი
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ვინაიდან აღნიშნული საკითხის კენჭისყრა ვერ მოხდებოდა ელექტრონულად, საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შპს ლა კლინიკს (ს/კ: 412711123) უარი ეთქვას მსმენელთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ლაზერული ეპილაცია /02201/.

7. შპს ბრაით ლაინის „ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ /02314/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 11 აგვისტოს №967932 ოქმის, „შპს ბრაით ლაინისთვის „ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 11 აგვისტოს №970354 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს ბრაით ლაინის მიერ 2025 წლის 19 აგვისტოს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული (განაცხადი ID 02019). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 27 აგვისტოს №1037743 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

დაწესებულებაში, წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.1 - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს

პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მოცემული კვლევები, ანალიზი და დაწესებულების წარმომადგენლების ზეპირსიტყვიერი განმარტებები სათანადოდ ვერ ასაბუთებს, რომ პროგრამა ,,ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა „უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს - <u>საბჭოს სხდომაზე საბჭოს მიერ ამ ქვესტანდარტის შეფასება შეიცვალა, საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ქვესტანდარტი არ არის დარღვეული.</u>

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე დაწესებულება, ვერ უზრუნველყოფს მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვის სწავლებას. რადგან არ გააჩნია სწავლებისათვის საჭირო რესურსი - მამაკაცის სამკერვალო მანეკენი, რომელზეც მოხდებოდა ზომების აღება და თარგის და პირველადი მოდელის მოზომება და დასრულებული ნაწარმის მორგება - <u>საბჭოს სხდომაზე საბჭოს მიერ ამ ქვესტანდარტის შეფასება შეიცვალა, საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ქვესტანდარტი არ არის დარღვეული, ვინაიდან შპს ბრაით ლაინის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია მამაკაცის მანეკენებთან დაკავშირებით და ანგარიშფაქტურები (მანეკენების შეძენის).</u>

დარგის ექსპერტმა ხარვეზებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შეფასება ამ ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, შეიცვალა საბჭოს მიერ, შესაბამისად ეს ქვესტანდარტები არ არის დარღვეული.

დაწესებულებაში წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

წარმოდგენილი პროგრამის თემატიკაში არ არის ასახული ისეთი საბაზისო საკითხები, როგორიცაა ტანსაცმლის დასამზადებლად გამოყენებული მასალების ასორტიმენტი, ფურნიტურის სახეები, თანამედროვე ტანსაცმელი და მასზე წაყენებული მოთხოვნები. საერთო ცნობები ქალის კაბის კონსტრუქციაზე, ტანსაცმლის კლასიფიკაცია, სამოსი დანიშნულების მიხედვით, ტანსაცმლის სილუეტი და მისი ფორმები, ტანსაცმლის დახასიათება სტილის

მიხედვით ტანსაცმლის ტექნიკური ნახატის შექმნის მეთოდი, ქსოვილზე თარგის დაფენასთან და გამოჭრასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ. შესაბამისად პროგრამის სახელწოდება სრულად არ პასუხობს პროგრამის შინაარს - <u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის გათვალისწინებული ისეთი საბაზისო სწავლის შედეგები, როგორიცაა სატანსაცმლე მასალების ასორტიმენტისა და ფურნიტურის სახეების გაცნობა, ტანსაცმლის სილუეტის, ფორმის სტილი დახასიათება და ტექნიკური ნახაზის შესრულება, რის საფუძველზეც ხდება შემდგომში სხვადასხვა ნაწარმის კონსტრუქციული ნახაზის აგება, ტექნიკური მოდელირება და თარგის მიღება. შესაბამისად აღნიშნული სწავლის შედეგების ან თემატიკის გარეშე მიზანი ვერ იქნება სრულად მიღწეული - <u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

ვინაიდან პროგრამა ქალის და მამაკაცის ტანსაცმლის კერვასთან არის დაკავშირებული, რეკომენდებულია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა, შესაბამისად, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა - <u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია, სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდეს ყოველი სწავლის შედეგის დასრულებისას, ასევე სწავლის შედეგის დასრულებისას მსმენელმა უნდა წარმოადგინოს შესრულებული დავალების პრეზენტაცია, შესაბამისად შეფასების მეთოდს - პრაქტიკული დავალება დაემატოს პრეზენტაცია - <u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამა უზრუნველყოფილია მხოლოდ ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება/კერვის შესწავლისათვის, ვინაიდან არ აქვს დაწესებულებას მამაკაცის მანეკენები, რეკომენდებულია წარმოდგენილი მატერიალური რესურსით ჯგუფში მხოლოდ 6 მსმენელის მიღება, შესაბამისად ორ ჯგუფში 12 მსმენელის - <u>რეკომენდაცია გათვალისწინებულია.</u>

რაც შეეხება წინა ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციებს, დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს ბრაით ლაინს გათვალისწინებული აქვს ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები, თემატიკაში დამატებულია საკითხები, რომლებიც პროგრამის სახელწოდების თემატიკასთან ბმას ადგენს, გაზრდილია საკონტაქტო საათების რაოდენობა და ხანგრძლივობა, ასევე გათვალისწინებულია წინა ვიზიტის დროს დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასთან დაკავშირებით, სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება შცვლილ პროგრამაში დაგეგმილია ტოველი სწავლის შედგის დასრულებისას. შესაბამისად სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. მან დასძინა, რომ შპს ბრაით ლაინს აქვს მოწყობილი ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრის მომზადებას.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 18 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 12, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №52.

დარგის ექსპერტმა შეაჯამა პრეზენტაცია და განაცხადა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს ბრაით ლაინს გათვალისწინებული აქვს ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები, ასახულია თემატიკაში, ასევე გაზრდილია საკონტაქტო საათები რაოდენობა და ხანგრძლივობა, შესაბამისად სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. მან დასძინა, რომ შპს ბრაით ლაინს აქვს მოწყობილი ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრის მომზადებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრაით ლაინის „ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა“ /02314/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ბრაით ლაინს (ს/კ: 445708477) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა /02314/ **(დანართი 1).**

8. შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 სექტემბრის №1064655 ბრძანების მიხედვით, რომლის საფუძველი იყო პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 18 აგვისტოს №992851 გადაწყვეტილება - შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტის“ პროფესიული მომზადების პროგრამას განესაზღვრა ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადა. დაწესებულებამ 2025 წლის 25 აგვისტოს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) გამოასწორა ხარვეზები. პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადის შესწავლა, კერძოდ, პირველი სტანდარტის, განისაზღვრა დისტანციურად, რომელიც შესწავლილ იქნა დარგის ექსპერტის ალექსანდრე კეკენაძის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტის სოფიკო ბექირაძის მიერ და დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ და გადმოგზავნილ განახლებულ პროგრამაში ხარვეზები გამოსწორებული იყო.

ვიზიტის დროს გამოვლენილ ხარვეზებთან და გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ხარვეზი აღმოფხვრილი აქვს, შესაბამისად მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. წარმოდგენილ განახლებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგები ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. დაწესებულებამ წინა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრა, შესაბამისად პროგრამის თავიდან შესწავლის შედეგად პროფესიული მომზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს. ასევე გამოსწორებულია ხარვეზი პროგრამის ხნგრძლივობასთან დაკავშირებით, განახლებული პროგრამის შესწავლის შედეგად პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №13ბ.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კიბერ აკადემიის „ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი“ /02311/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს კიბერ აკადემიას (ს/კ: 445569420) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი /02311/ **(დანართი 2).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 12:55 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02314	ქალისა და მამაკაცის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა	პროფესიული მომზადება	მესამე	18	ქართული	12	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №52

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02311	ვებ ინტერფეისის დეველოპმენტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	30	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. №13ბ